დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2023 წლის 11 აპრილი**

დისციპლინური საქმე №74/23
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებაზე უარის თქმის თაობაზე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურში 2023 წლის 10 აპრილს მოსამართლე -- -- მიმართ მიღებულია -- -- №74 საჩივარი.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებაზე უარის თქმის საფუძველია, თუ არსებობს დისციპლინური სამართალწარმოების განმახორციელებელი ორგანოს მიერ იმავე მოსამართლის მიმართ, იმავე ქმედების გამო გამოტანილი გადაწყვეტილება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2023 წლის 21 თებერვლის №13/23 გადაწყვეტილებით ნაწილობრივ შეწყდა -- -- 2023 წლის 6 თებერვლის №-- საჩივარზე მიმდინარე დისციპლინური სამართალწარმოება, მოსამართლე -- -- მიმართ, №-- საქმეზე გამოტანილი განჩინების კანონიერების შემოწმების ნაწილში.

გამომდინარე იქიდან, რომ -- -- მიერ 2023 წლის 6 თებერვალს და 28 მარტს წარმოდგენილი საჩივრები შეეხება მოსამართლე -- -- მიერ №-- საქმეზე გამოტანილი განჩინების კანონიერებას, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად აღნიშნული გარემოება წარმოადგენს მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებაზე უარის თქმის საფუძველს.

ამდენად, დამოუკიდებელი ინსპექტორი განმეორებით ვერ იმსჯელებს მოსამართლე -- -- მიმართ წარმოდგენილ საჩივართან დაკავშირებით. შესაბამისად, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

-- -- უარი ეთქვას №74/23 საჩივრის საფუძველზე მოსამართლე -- -- მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებაზე, სამოქალაქო საქმის -- ნაწილში.

ზურაბ აზნაურაშვილი
დამოუკიდებელი ინსპექტორი